წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N10

ქ.წალენჯიხა 31 მაისი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გონერ კვარაცხელია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი: ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, დავით ბელქანია,მერაბ კვარაცხელია, ლევან ფიფია, ავთანდილ გაბელია,დარეჯან დადიანი, ბაჩუკი უბილავა, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების და საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 13:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ გონერ კვარაცხელიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით. (განკარგულება N 23).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 22 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1.“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: **ზაურ სამუშია** – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: **ვლადიმერ გაბელია**-საკრებულოს სამანდატო,
იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიისთავმჯდომარე

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: **თემურ მებონია,** მუნიციპალიტეტის
გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

4.სხვადასხვა.

მოისმინეს: 1. " წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსმა ზაურ სამუშიამ.

საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ავთანდილ გაბელიამ გამგეობაში შტატების მატებას უწოდა წინასაარჩევნო პიარი, ხოლო ფრაქციის წევრმა ქ.ნ მარინა კალანდიამ მოთხოვა მომხსენებელს განემარტა აღნიშნული ცვლილება რამდენი ათასი ლარით გაიზრდიდა სახელფასო ფონდს.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სხვა წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გონერ კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი - 3 , მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია)

მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N12) .

მოისმინეს: 2 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გონერ კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი - 3 , მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია)

მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 13)

მოისმინეს 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ მებონიამ

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გონერ კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N24) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: ბ. კვარაცხელია